20 აპრილი, 1908 წ. ფასი ყველგან 10 კ.
იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 27



## ჟურნალისტების კრება თფილისში.

(გამათია წესდებაში შეტანილ შესწორების შესახებ: „წესდების დამტკიცების შემდეგ პირველ დამფუძნებელ კრებაზე რედაქტორ-გამომცემლებს ნება არ ქონდეს დასწრების")

**გოთუა** — (მეტათ განრისხებული დრიალებს) გამიშვით!.. გამიშვით!.. თქვე... განა ჟარიბი და მისი პარტია იმიტომ გავაძევეთ აქედან, რომ ახლა გინდათ კრებაზე დამისწ-[illegible]? გამიშვით!.. ამის მოთმენა შეუძლებელია!! ჩემისთანა რედაქტორი მთელ დუნიაზე არ იქნება.. ყველაფერათ გამოსადექი კაცი ვარ... რა თანამდებობა გინდათ რომ ვერ ავასრულო... ყველაფრის უნარი მაქვს. გამიშვით! (სტოლზე შეხტება და მუშტებს იქნევს)... მე თქვენ გაგიურებინებთ თქვენ სეირს... ჩემ გაზეთში...

**ქალანთაროვი** — ვა! ინჩხაბარე! სწორეთ დაგიჟდენ ეს თხრები! (ისიც მუშტებს იქნევს). ჯობია ეხლავე წავიდეთ. მე თქვენ გაჩვენებთ სეირს.

**ხაჩატუროვი** — (დაფიქრებული) ჰმ! ჰმ! ამას კი არ მოველოდი. რა მიყვეს ეს „ტოვარიშჩებმა"?

## მწვავე ცრემლები.

(ვუძღვნი ეშმაკს).

სახუმრო გითხრა?! დიახ, მეც ვიცი,
ზოგი სიცილი ცრემლზეც მწარეა!
რაღა ხუმრობა! როცა ის აზრით
იმავე ცრემლის მოზიარეა!
აქ მხოლოდ ფორმა, გარეგნობაა,
ერთ აზრს ეძლევა სხვა და სხვა კილო
მაშ, მე განვაგრძობ კვლავ „მწარე ლექსათ“,
შენ კი გვიწერე „მწარ-სასაცილო“!...
ოხ, მწარე!.. მწარე!.. იმ დროს, როდესაც
ირგვლივ, ბუნება გალაღებული
ძალას უმატებს სიცოცხლის მაჯას,
მეჯლისში არის, უტოკავს გული;
იმ დროს, როდესაც ტყისა ნადირი
ქვე წარმავალი, თუ ცის ფრინველი,
ზამთრის ძილისგან გამორკვეული
კმაყოფილია. და უზრუნველი.
როდესაც ბაღში ტურფა ყვავილსა
გადაუშლია სიცელქით გული,
იქვე მგოსანი სხვა და სხვა ჰანგზე
მოსთქვამს ტრფიალის ცეცხლ-აღგზნებული.
მე ვტირი ამ დროს... არა, ეგ ცრემლი
თვითონ ცხოვრების ნაკარნახია,
რადგან მისგანვე ის მწვავე გესლათ
გულის სიღრმეში ჩანასახია.
ის იქ გროვდება, რასაც ვერ ვიტევ
ვიწრაფი, თავი რომ დავახწიო,
და რომ ვერ ვხედავ სხვა გამოსავალს,
ცრემლებათ უნდა გადმოვანთხიო.
მწვავე ცრემლებათ! ან კიდევ... მაგრამ...
რა საჭიროა! მე მგონი კმარა!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## დაგვიანებული სააღდგომო მისალოცი

ბათუმლებს

ბათუმელ გმირებისაგან
შევიქენ დასანდურები
ყოველი მხრიდან მე მათგან
მომესმის საყვედურები.
სააღდგომოთა ვერ ვუძღვენ
ლექსი მათ შესახურები,
ეხლა შევაქებ, და მათაც
მომართონ სმენად ყურები.

**ი. ანდრონიკოვი.**

სჯობს, რომ თავიდან დავიწყოთ,
შევაქოთ თავი ქებული,
ქანქარისათვის პეტერბურგს
მრავალჯერ გამგზავრებული.
დღესაც იქაა, მინისტრებს
ფულებს თხოვს მოკრძალებული,
სამგზავრო ქანქარს მიართმევს
კასა სათაგვეთ ქცეული,
მარა მრავალჯერ გვინახავს
უქანქროთ მოვლინებული,
ვაი თუ ეხლაც გვეწვიოს
პირს ჩალა გამოვლებული!..

**გ. ჟურული.**

ნუ მოვაგონებთ გიორგის
უსიამოვნო ამბებსა,
ძველათ რომ ქართულ პრესასა
უჭერდა რკინის სალტებსა;
დღეს თავის მოადგილეა,
მართავს ქალაქის საქმესა,
არც მწვადსა დასწვავს, არც შამფურს—
იმგვარათ იეშმაკებსა.

**ბიჭია იმედაშვილი.**

ბიჭიას სწორედ შეფერის
რომ იქნეს მოხსენებული,
ქალაქის ყველა საქმეში
ნაკურთხი, მირონ-ცხებული.
არქიტექტორი უებრო
და სანიტარი ქებული
ყველა მასშია ერთადა
შეგროვილ-შეზავებული;
რა ეშველება ბათუმსა
ის რომ არ ყავდეს, ღული,
უიმისოთა ქალაქი
შეიქმნის წყალ-წათრეული.

**ალ. თუმანოვი.**

ქალაქის საავათმყოფოს
ესკულაპათა ითვლება,
და თავის დროზე ავათმყოფთ
აროდეს მოევლინება;
თორმეტ საათზე ამ ვაჟმა
თუ მობრძანება ინება,
თერთმეტნახევარ წუთს შემდეგ
უკანვე მიედინება;
მეტს თავის ნებით არ იცდის,
ჯაჭვით არვისგან იბმება
და, თუ დაგჭირდეთ, იკითხეთ —
პეთანოვისას იქნება.

**სოსიკო.**

ეხლა სოსიკოს მივხედოთ,
განაგებს რედაქციასა,
მე ვერ დავწამებ ეშმაკმა
რაც რომ დასწამა იმასა,
მხოლოთ ეს კია—წინამძღვრობს
გაზეთსა ბათუმისასა

და ბლომათ უშვებს წერილებს
წყალ-წყალა აზრებიანსა,
ნუ მივაყენებთ ამისთვის
მის ზურგსა დიდსა ზიანსა,
სავსებით კმარა თუ ვასმევთ
კუდინსა რვაწვეთიანსა...

**„ბატუმსკი გოლოსის“ „ქართველს“.**

„ქართველი“ ესე შეხარის
„ნიშადურ-ისრის“ ნაწერსა
და ამბობს: რაზმელთ საქციელს
ესენი ჰფენენ ნათელსა;
რაზმელთა ქცევას პარტიას
ის არ მიაწერს არც ერთსა,
თუმც კარგათ იცის „ქებულნი“
საით იშვერენ თათებსა.
და ის კი მაინც შეხარის
„სინათლის მფენელთ“ ასეთსა...
ალბათ სიამე ეუფლა
ჭორებისაგან „ქართველსა“;
და ამისათვის ჩვენ ამ ვაჟს
საკადრისს ვკადრებთ საქმესა:
მათრახს ვუცხუნებთ ბეჭებზე,
კუდინს მივართმევთ ას წვეთსა...

**ბათუმის კლუბი.**

შევიჭიტინოთ კლუბშიაც,
იქ კარტის გმირნი დაგვხვდება,
მთელ ბათუმს გამოკვებავდა
იქ რომ ქანქარი ფლავდება,
იქნებ მოუხდეს ამ გმირებს
მათრახის კუდის დაცხება,
მაშ ღონივრათა ცხუნება
მათთვის ნუ დაგვეზარება.

**საურთიერთო ბანკი.**

საურთიერთო ბანკისაც
შევუჭიტინოთ კასასა,
მიკროსკოპითაც რომ სინჯოთ,
შიგ ვერ იხილავთ ქანქარსა,
სამაგიეროთ ბევრს ნახავთ
იქ თამასუქის ქაღალდსა,
რომლებშიაცა არავინ
რომ არ იძლევა არასა...

**ბათუმის ყასბებს.**

დიდ სიკეთისთვის ბათუმელ
ნუ დავივიწყებთ ყასბებსა,
უვარგის ხორცის მომნიჭეთ,
ბათუმის მარჩენალებსა;
გირვანქა ხორცსა თანდათან
მიუმატებენ ფასებსა,
ნეტავ თუ ბოლო ექნება
მათ თავხედობას ამდენსა?..

**ქალაქის საავადმყოფო.**

მართალი გითხრათ, ვერ ვბედავ
ვესტუმრო ამ სამკვდრეთსა,
თუ ავათმყოფად მიგიღეს,
გამოიტანენ ბაწრებსა,
ხელსა და ფეხში ჩაგაბმენ,
მყის დაგაკრავენ ტახტებსა...
ნეტავ თუ რამე უშველის
იქაურ წამხდარ საქმესა?..

**კენტი.**



# ს ც ე ნ ა

**ხაშურის სამიკიტნოში.**

(მოქმედი პირები. დეპოს მუშები).

— გამარჯობა იოსებ! ამაღამ უთუოდ დაგვესწარი კრებაზე, ძლიერ საინტერესო საგანია გასარჩევი.

— მოგცლია ძმაო, რა დროს კრებაა! საინტერესო ამბავი თუ გინდა თედორე რაჭველის დუქანი აქ არ არის?!

— სირცხვილია კაცო, სირცხვილი!

— სადაური სირცხვილია, სირცხვილი მგელმა შეჭამოს. დაანებე ძმაო მაგ პოლიტიკებს თავი... ჩვენ „აკორდის“ მოსპობა ხელს არ მოგვცემს, ძმაო, ხელს. ისევ თედორესთან წამოდი უკეთესია.

— ჯანი გავარდეს, წავიდეთ...

— მაშ მომიცა ერთი ჩვენს ოხრებს დავუძახო...

— ვინ ოხრებია კაცო?

— ვინა და აი ვასო, პეპო, ალიოშკა, ფიდო, იოსკა და სხვები, ერთათ უფრო ვიმხიარულებთ.

**თედორე რაჭველთან.**

— პაპაშაჯან, ხელადა არ გამოგვიცვალო, ხელადა!

თედორე. როგორ გეკადრებათ გენაცვალე, ეს პირველი ღამე ხომ არ გაგიტარებიათ ჩემთან.

**იოსკა** (თამადა) გაუმარჯოს ამხანაგებო რასაკვირველია „აკორდს“. აბა ერთი „მრავალ ჟამიერი“ (მღერიან:)

„ღვინოს დავლევ წყალს არა
შენ გაკოცებ სხვას არა“.

(და თანაც ჰკოცნიან ერთმანეთს).

**„პაპაშა“.**



აბა რას იტყვი ალია?
საით გიჭირავს თვალია.

---

## მოღლილობის დროს.

როს მოღლილი ვარ სულიერათ
ღონე მიხდილი
არ შემიძლიან მაშინ მღერა
არცა სიცილი,
გულზე ბოროტი მოჩვენება
ვითა სიკვდილი
გადაიშლება,—მაძაბუნებს
მქენჯნის სირცხვილი.
რაღაც საზარი ხმა დამჩხავის
დაუნდობელი:
„ტყუილათ ფიქრობ მოსვენებას
ტყუილათ ელი“,
რასაც შენ ეტრფი ოცნებაა
მოჩვენებაო,
უნდა მემონო აღასრულო
ჩემი ნებაო.
მე მწარეთ ვდუმვარ
მოჩვენება ვით განაწყენი,
ვით დამნაშავის ხელში ეპყრას
მას განაჩენი
ჩამქედა ბრჭყალი გულსა ბზარავს
ვით გესლი-გველი,
სისხლსა მწოვს იგი, მე მოღლილი
ხსნას არ მოველი.
ტირან ჩვენებას ქვეშ ვუგდივარ
ვითარცა მხდალი,
და რომ მე იგი უკუ-ვაგდო
არ შემწევს ძალი.
როცა ვიფხიზლებ მოქანცული
სევდათ დამდნარი,
და ყურს კვლავ ესმის მოჩვენების
მკაცრი ხარხარი,
მყის მლვიძარ გულში რაღაცა ხმა
ხმა უშიშარი,
გაიწკრიალებს დაიგრგვინებს
ვით ცისკრის ზარი.
და შემომყივლებს ნუ, ნუ იტყვი
არ შემწევს ძალი,
ხომ გზა მრუდეა მოკირწყლულა
მაზე ეკალი,
სულით ამაღლდი ნუ იქნები
რბილი და მფრთხალი
გულში აინთე სასოების
მგზნებარე ალი.
შეჰფიცე ყველას ვინც რომ შენებრ,
არს წამებული
რომ მოსრათ კერპი მონობისა
შეჩვენებული.
მაშინ იპკურე სიცოცხლისა
სხივი უხრწნელი,
ტკბილი სიმღერა და სიცილი
ამი და ნელი.
მანამდის კი ნუ, მას ნუ იტყვი
არ შემწევს ძალი
გულში აინთე სასოების
მგზნებარე ალი.

**ვ. ტუქსიშვილი.**

---

## ტელეგრამები

**ბათუმი** —ქალაქის ცოცხალ ინვენტარს—ბიჭია იმედაიშვილს ჩაბარდა ფიცხელი ბრძანება, რომლითაც ქალაქის გამგეობა აფრთხილებს მას რომ არამც და არამც არ გაბედოს სიკვდილი სანამ ქალაქის ინვენტარი არ შესდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიჭიას სასტიკი სასჯელი მოელის.

— როგორც ირკვევა ნავთის ფასი მატულობს. დღეს მხოლოთ ერთი სახლი დაიწვა.

— საავათმყოფოში ორი თვის მუშაობის შემდეგ ქაღალდების გადაწერა დამთავრდა. გადამწერს ხელფასისაგან მხოლოთ 5 პროც. დააკლეს.

— ნურიის ცნობილმა ყიამყრალმა გიორგ სოფრომიჩმა დღეს მხოლოთ ორი ქალი შელანძღა მისებური კილოთი. მეზობელი ვაჭრები სოფრომიჩს პროტესტს უცხადებენ ლანძღვა-გინების ასეთ შემცირებისათვის.

— ხმა დადის, რომ ქართული სკოლის სამზრუნველო შეუდგა გამორკვევას, არსებობს თუ არა ბათუმში ასეთი სკოლა. ფიქრობენ ეს გამორკვევა აღმოაჩენს სკოლასო.

---



# ორი ეშმაკი.

## მემკვიდრეობა.

**პირველი** Объясни пожалуйста, ეს როგორ არის, რომ „ჟურნალისტი“ ერგნელის ფელეტონები სრულიად არ შეესაბამებიან ქართულ ანდაზას: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“-ო. Вѣдь онъ совершенно безграмотный человѣкъ და გასაკვირია ღმერთმანი იმისი კოკიდან თუნდაც შედარებით ასეთი სითხე გადმოდიოდეს.

**მეორე.** ეჰ, მეგობარო,
გაუგებარო,
ნუ თუ არ გახსოვს დავით კეზელი,
იმან აკურთხა
ეს პართენის თხა
იმან შეუწყო მის „მუზას“ ხელი.

დავითი თავისი გაზეთისათვის ადგილობრივ ამბებს აგროვებიებდა ახალგაზრდა ერგნელს და იმან ამ საქმეში ისეთი „ნიჭი“ გამოიჩინა, რომელიც ნათელყოფს მის „კოკასა შიგან რაცა სდგას“...

**პირველი.** ალბათ выпалилъ чтонибудь თავისებურათ.

**მეორე.** О, нѣтъ, პირ-იქით, რედაქტორი გაზეთისა განცვიფრებაში მოიყვანა და თფილისის ექიმები სირცხვილის ოფლში გასწურა. საქმე იმაშია, რომ ერთი მიცვალებულის შესახებ ხრონიკაში ასეთი შენიშვნა გაუშო: „покойный мертвецъ десять лѣтъ страдалъ разрывомъ сердца“-ო.

**პირველი.** ჰო, ჰო, ჰოოო! ალბათ რედაქტორის მოადგილეობას მისცემდენ ამ აღმოჩენის შემდეგ! არა?!

**მეორე.** რაღა თქმა უნდა მისცემდენ
მაგრამ უმტყუნა ვარსკლავმა...
მისი იმედი კეზელი
უდროოთ ჩანთქა საფლავმა.

და თუმცა დაობლდა ახალგაზრდა ნიჭი, ერგნელისა, მაგრამ სანაცვლოდ მემკვიდრეობა ჩინებული იშოვა.

**პირველი.** ეე, მართლაც რომ კეზელის სიკვდილის შემდეგ დაიწყო „მწერლობა“. даа, აქ კი არის სადღაც დამარხული ძაღლის კუდი.

**მეორე.** კუდს ვიდა სჩივის ძმობილო
თავი არ იყოს მთელათა:
კეზელის ხელ-ნაწერები
მას დარჩა საძიძგნელათა

**პირველი.** სჩანს ბედნიერი ამგვარი
სხვა მოინახოს ძნელათა...
აჩიქორთულებს სხვის ნაწერს
უსირცხოთ, უდარდელათა.

**მეორე.** ეგ რა არის შენ ის უნდა იკითხო პართენი ოპერაში რომ აგზავნის ხოლმე რეცენზიის დასაწერათ! უნდა განახა მისი გასაჭირი! ჯერ უნდა იცოდე რომ მას ნამდვილი ჭეშმარიტ-ქართული სმენა აქვს და თუ სამშობლო ზურნის ჰანგები არ ესმის, ოპერას სიზმარეთის სამთავროში გადაჰყავს და ძილში პირ დაღებულს სიზმარში კეზელის ძველი ხელნაწერები ელანდება ხოლმე.

**პირველი.** ალბათ ამისთვისაა რომ ზაკავკაზიეს რეცენზია კრილოვის არაკის ერთ-ერთ დამფასებელს მოგაგონებს.

**მეორე.** ეგ რა თქმა უნდა ეგრეც უნდა იყოს, რადგან მძინარეს კი არა ფხიზელსაც საუკეთესო მუზიკა ზურნა ჰგონია. მე მხოლოდ ერთი მაკვირვებს, რატომ ვერ გაიმეტა ერთი ძველი რვეული თავისი უბედური რედაქტორისათვის, რომელიც მთელი კვირაობით იწურავს ჭირის ოფლს, რომ ერთი საწყალი პასუხი უძღვნას თავის მოწინააღმდეგეებს.

**პირველი.** ხომ იცი, გული კაცისა
უძღომელი და ხარბია.

**მეორე.** სჩანს შენც მიხვდები
თუ ერგნელს,
როგორი „კოკა“ აბია.



## უმუშევარნი.

I.

ai, ამ წამში უკანასკნელი
გროში მიუგდო იმან მეპურეს,
განშორდა ყველას და პურს ილუკმავს
აზვირთებულის ქუჩისა ყურეს.
ეს სამი დღეა რაც ოცნებობდა
ამ გროშით ნაყიდ პურის ყუაზე...
და აი კიდეც დაუდგა წამი:
ხარბათა გზავნის ლუკმას ლუკმაზე.
ბეჭებში მოხრილ და ჩამოკინკულს
უშნოთ გაშლია თვალის უბები,
თითქოს ღიმილიც სახეზე უკრთის,
მაგრამ საშიში, შეუგუები!..
ძვლათ ქცეულ ხელით გულში ჩაუკრავს,
პურს უალერსებს სახე ჩამხმარი...
ამ წამს მაგაზე ბედით კმაყოფილ
აბა მას ჰკითხეთ, თუ ვინმე არი...
სულსაც არ ითქვამს, თავს მაღლა არწევს
ამ წუთს მდიდარი, თვით ქვეყნის ტოლი...
ვინ სთქვა, ვინ დასძრა, რომ ის ოდესმე
ყოფილა მხდალი, სულით ობოლი?
უფურთხებია ერთხელაც მაინც
მშიერს და მწყურვალს წუთი სოფელი,
სასოწარკვეთილს, აწმყოთ მოშხამულს
მხოლოთ ზეცისკენ უპყრია ხელი?
არა, ის მუდამ იყო უძლევი,
მაღლა ეჭირა დროშა-ალამი!..
შეხეთ ბედნიერს თუ არ უმოწმებს
ყველაფერ ამას დიადი წამი!..
არ ახსოვს არვინ... დავიწყებია
ცა, დედამიწა, ქვეყნის შემქნელი...
მაგრამ... დახედეთ ერთის წუთით ლაღს
ხელში აქვს ლუკმა უკანასკნელი.
ეხლა-ღა იგრძნო ჩონჩხათ ქცეულმა,
ვინ იყო იგი, რა იყო ისა",
დუხჭირ ცხოვრების ორონ ტრიალმა
რა უწყალობა, რა მიამისა?
კვლავ წარმოუდგა მთელის სიტიტვლით
ბუნების ჩარხი, ცხოვრების ბრძოლა:
ტანჯვა, ოფლის ღვრა, ცრემლებში წურვა
და მკაცრ კუქისთვის ბრძოლა და ბრძოლა...
შეჭამა პური... აღარ აქვს გროში. .
გაქრა ელვასებრ წამი ნეტარი,
სამსალით ექცა, შხამათ ეგემა
ჩაწვეთებული წუთით ნექტარი...
მიმოიხედა კაინის თვალით...
პასუხი იყო ქუჩის გრიალი,
მიმოსვლა ჩქარი, ეტლთა გრუხუნი
ცხოვრების ზვირთთა ხეთქა, ტრიალი.
ყველა თავისთვის მიმოდიოდა,
არვინ აქცევდა მას ყურადღებას,
ყველა ჩაფლული ანგარებაში
სწრაფად ანგრძობდა აზვირთებულ გზას...
არვის ესმოდა ურთერთის ტანჯვა,
ახსოვდათ მხოლოთ თავისი თავი...
თუნდ მოკვდი მისს წინ, არვინ მოგხედავს:
აღარც კუთილი და აღარც ავი...
უსულგულოა ქუჩის თორთქოლი,
მხოლოთ-ღა ამბობს: „თავს მოუარე,
მზათ მაქვს ყველასთვინ მე გამზადილი
ნექტარი ტკბილი და შხამიც მწარე"...
იმანაც იცის ქუჩის პასუხი
და არც აქვს მისი რამე იმედი,
ღრმათ წამს, რომ უნდა თვითონ გაჭედოს
თავისი აწმყო, თავისი ბედი.
მწარე ღიმილი პირზე დააკვდა
რა წარმოუდგა ეს ყველაფერი...
ხელის ჩაქნევით ქუჩას მოშორდა
კბილების ღრჭენით ცხოვრების გერი...

**ვ. მალაქიაშვილი**

---

## გლეხის ჩივილი.

ამ დასამხობ სიღარიბეს
ვერ გადავრჩი აღარ იქმნა,
სადაც წაველ, ყველგან წამყვა,
ყველგან ნახა ჩემთან ბინა.
ერთი მითხარ, თუ კაცი ხარ,
რა შეიქმნა ჩემი თავი,
რო დამჩემდა სიღატაკე
და მღრღნის ხელა, ვით ლეშს სვავი?
გითხრა, ძმაო, სად არ ვშრომობ,
რას არ მივედ-მოვედები,
ხან ჩემსას და უფრო სხვისას
ვმუშაობ, ხან ვქირავდები.
ხან შეშას ვჭრი, ხან კი ვთოხნი
ხან ბარ-ნიჩბით წვივ-შიშველი,
მიწას ვთხრი, რო შემოვზღუდო
ბატონების ტყე და ველი.
პურს თუ სიმინდს, ან სხვა რასმე
ოჯახში რაც გამოჩნდება,
ყველი, კვერცხი თუ ქათამი
ხილი, თუ რამ სხვა ქონება;
—ცოლ-შვილს სულს ვხდი—ვიკლებ, ვყიდი,
ვფიქრობ, რასმე ჩამოვრჩები,
არ მომიკვდე, ოფლს ვღვრი, ვდნები,
როგორც მხედავ, ასე ვრჩები.
თუ რამ ფულით შემოვიდა
ათასი გზა გაუჩნდება;

თუ „სათოსტო“, თუ მღვდლის დრამა
და სხვა... მე კი არა მრჩება.

და ამ ჯდანს, ამ ქადამნებსა,
კიდევ მაინც ვერ ვშორდები,
უმოწყალოთ ფეხებს მლეწავს
დავსუსტდი, ძლივს დავეთრევი...

ერთი ძველი ქოხი მიდგას
მამა-პაპის სეულია,
რო შეხედოთ, გეფიცებით,
მოგადგებათ ყელს სულია.

დაფლეთილი, დაქონქილი
წაფერდილა უშნოთ განზე,
მაგრათ ქარმა რო დაჭქროლოს
გადამანგრევს ხელათ თავზე...

ვრჩები ასე—რაც დრო გადის
ვატყობ, უფრო ვდატაკდები,
ვხედავ შრომა აღარ მშველის
აღარც ზეცა და არც მღვდლები...

უფლებები მთლათ წამართვეს
ფული არ მაქვს, მიწებია,
ცივი მჭადი და ლობიო—
ხშირათ ესეც შემკლებია.

უსწავლელი თვითონ რო ვარ,
აბა რა მოსაწონია?
მინდა შვილებს, რო ვასწავლო
მაგრამ შევძლებ კი, გგონია?..

ამ უბედურ ქვეყანაზე
ბევრი ჩემებრ მშრომელია,
მათ არ მოსწონთ ეს ცხოვრება,
ყველა მისი მგმობელია.

ჩვენ მეტი ვართ—დატაკები,
ბედნიერნი—ნაკლებია,
ბრაზი მომდის, როცა ვგრძნობ, რომ
ჩვენ ვართ მათი მონებია.

არა... არა!.. ბარემ გაჭქრეს
საზიზღარი ეს ცხოვრება,
თხოვნა, ხვეწნა ვერ გვიშველის—
მამა-პაპის ჩვეულება...

შევკავშირდეთ; მტრებს ვებრძოლოთ,
გავაფხიზლოთ ყური, თვალი,
მრწამს, რომ ბრძოლით დამყარდება
ქვეყანაზე სამართალი.

ბ. გელა.

მ თ ა ს.

მთავ ეგრე მუნჯათ მდგომარევ,
წვერი შორს აგიტყორცნია!
ღრუბლები გაგიხევია,
ცის შუბლი გაგიკოცნია;

ზედ გაწევს თოვლის ზვავები,
ნამქერიც დაგდინებია
და სდუმხარ, თითქოს მტირალსა
ცრემლებში ჩაგძინებია!

შენ სდუმხარ!.. გარს კი ბუნებამ
უკვე გაშალა ხელები:
ნაირ-ნაირი ფერებით
შეამკო ტყე და ველები.

ბულბულიც ისევ გვაწონებს
საამო სტვენა-მღერასა
და ძალმოცემით უმატა
სიცოცხლის მაჯამ ძგერასა!

და შენ კი სდუმხარ მოწყენით!
ჩაგითხრობია გულია!
შენთვის აღარც მთლად ზამთარი
და აღარც გაზაფხულია!

მერმე რას უცდი? განრისხდი!
მოუხმე ღრუბელთ გროვასა,
თავი მიეცი სტიქიონს,
ცაც განიცდიდეს გლოვასა!

დაუშვი მეხის ისრები
და წვიმა კოკისპირული!
გაშალე შენაც მხარ-მკლავი
ყინულში გამოქირული!

ჩარეცხე თოვლის ზვავები,
ძირს ჩაიტანე ღვარებით,
რომ კვლავ გათენდენ დღეები
სასიამოვნო დარებით!..

ნ. ზომლეთელი.

## სიმართლის ღმერთი ტახტზე დაჯდება.

ის მცირე სხივიც, ჩვენს ცხოვრებაში
რომელიც ოდნავ კრთოდა, ბრწყინავდა
და გარს შემორტყმულ საზარელ ბნელსა
ლახვრად ხვდებოდა; გულს უგმირავდა,
უკვე ჩააქრეს ბნელეთის მცველთა,
რომ შეგვიხუთონ წყვდიადით სული
და დაგვიბნელონ აზრი, გონება,
ცივ ქვათ გვიქციონ მგრძნობელი გული!

მაგრამ მოვა დრო, დაკრავს საათი,
ძალმომრეობის ხანა გაქრება
და დაემხობა უსამართლობა,
სიმართლის ღმერთი ტახტზე დაჯდება.
თავისუფლების მზე გამოკრთება,
უხვათ მიმოფენს კ შკაშა სხივებს
და დაგვაქარგავს ტანჯულებს გულზე,
ვით მარგალიტის ბრჭყვიალა მძივებს!

მაშ ნუ წარვიკვეთთ სასოებასა,
მომავლისაკენ გვეჭიროს თვალი;
შეუპოვრათ ვიბრძოლოთ წმინდა მიზნისთვის,
ვიდრე გვაქვს მკლავში ღონე და ძალი;
ქედს ნუ მოუხრით უსამართლობას,
თუნდ მოგვეკიდოს მწველი ცეცხლი,
გვასულდგმულებდეს მარად ის რწმენა,
რომ გამარჯვება ბოლოს ჩვენია!

ვ. ჩახრუხაძე.

## ქართველი მოღვაწეები. I



იაკობ ფანცხავა.

ცოდვა გამხელილი სჯობია. „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია და პირძონი ბ-ნი ისტორიკოსი, დიდს ბოდიშს იხდიან მკითხველის წინაშე. ბოდიშს იხდიან პირველად იმისთვის, რომ ეს ბიოგრაფია ამდენ ხანს ვერ მოათავსეს: ხოლო მეორეთ იმისა გამო, რომ ბიოგრაფია ბ-ნი იაკობ ფანცხავისა ძლიერ შემოკლებული და მოუსრულებელია. რედაქციას იმედი აქვს, სპეციკათ არ მოგვემდურებიან, მით უმეტეს, შესწორებ-შევსება მუდამ სასურველ-მოსახერხებლათ მიაჩნია. მაშ სმენა იყოს და გაგონება.

### იაკობის აღზრდა.

სად, როდის და რა პირობებში დაიბადა ბ-ნი იაკობი ეს რედაქციამ ვერ გაიგო, მაგრამ ამ გარემოებას არც მოღვაწეობისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. საკმარისია ვიცოდეთ რომ ის მოევლინა სამშობლოს ოდითგან და ამასთანავე არა უადრეს მეცხრამეტე საუკუნისა.

### სტუდენტობა და ფილოსოფიური ნიჭის ნიშნები.

უკვე ცნობილ კიტა აბაშიძესთან ერთად, იაკობი ადესის უნივერსიტეტში სწავლობდა. როგორც ისტორია მოგვითხრობს, მას აქვე, უნივერსიტეტშივე გამოაჩნდა ცხადი ნიშნები მძიმე ფილოსოფიური აზროვნებისა. სტუდენტების კრებებზე, ის სულ „ღრმათ“ მსჯელობდა და ისეთ „მძიმე“ აზრებს ალაგებდა, რომ ძველი ოქმებისა არ იყოს „ხორც შესხმული“ ადამიანი ვერას გაიგებდა და რადგანაც სტუდენტობის უმრავლესობა (თუ დიდი უმრავლესობა არა) ხორც შესხმულია, ყველას იაკობი ნამდვილ „ფილოსოფოსათ“ მიაჩნდა.

### პირველი წლები სამსახურისა.

მიუხედავათ იმისა, რომ იაკობი დღეს „ეგუეჭოთა“ შორის პირველ რიგში სდგას და „ეგუეჭისტებს“ ამაყათ დასცქერის ქალაქის სამმართველოს კასის მწვერვალიდან, ძველათ სულ სხვა მიმართულებას დაადგა და სწავლის გათავებისათანავე ქ. ნიკოლაევში ჩინებული სამსახური იშოვა.

### დარდი სამშობლოსათვის.

იაკობის მგრძნობიარე და მოსიყვარულე გულმა ვერ გაუძლო ნიკოლაევიდან სამშობლო მხარეზე ოცნებობას და ჩქარა გადმოუბარგა საქართველოში. აქ ის ერთ ხნობით მოღვაწეობდა გაზეთ „ივერიაში“, სადაც ბელეტრისტიკისა და სხვათა ნამოღვაწევი ერთი კალმის მოსმით „გააქრო“.

### ლიტერატურული ნაღვაწი იაკობისა.

სტუდენტობის დროს მხოლოდ ჩანასახმა ნიჭმა „ღრმა“ ფილოსოფიური აზროვნებისა აშკარათ იჩინა თავი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. არა მგონია იყოს სადმე ქართველი კაცი, რომელმაც არ იცოდეს ლობიოს მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში და მეტადრე დიდმარხვისა და სხვათა მარხვათა ხანებში? იაკობმა უფრო ღრმათ შეხედა ამ საკითხს და ქართველ მკითხველს ნათლად დაანახა თავისი ძვირფასი გამოკვლევით „უადრესი მნიშვნელობა ჭეშმარიტ ლობიოსა და მცენარეთა მისთა მაგვართა ნიადაგის განაყოფიერების საქმეში“. აქ ძნელია იმის თქმა თუ რა „დაუფასებელი“ ღვაწლი დასდო მან ამ შრომით ჯერ თავისს ერს და შემდეგ თვით მეცნიერებს.

### იაკობი ფოთის ქალაქში.

ნიკო ნიკოლაძემ ყველაზე უწინ დააფასა ბ-ნი იაკობის დიდი ნიჭი და ფოთში მიიწვია საქმეთა მოსაწესრიგებლათ, სადაც დაჰყო მან ამ ბოლო წლებამდე. აქ ის იყო ერთგული აღმასრულებელი ნიკოლაძის სურვილებისა და ძლიერ თვილათაც ცხოვრობდა, მაგრამ ვის შერჩენია ერთი დრო! ნიკოლაძესა და იაკობს შორისაც გაირბინა ეგრეთ წოდებულმა „შავმა კატამ“, რის გამო უკანასკნელი იძულებული შეიქნა სადმე სხვა ქალაქში გადაბარგულიყო, ხოლო ასეთ ქალაქთა შორის პირველობა რასაკვირველია ქუთაისს ეკუთნის.

### იაკობი ქუთაისში.

ფოთში „წლენათ“ ნამყოფმა იაკობმა, ქუთაისში თავბის მოიწადინა და ეუთიც დაიდგა; მთელი ჩვენი ერის სამგლოვიაროთ ამ თანამდებობაზე გაამგეს ქართველი ლობიოს მეცნიერი. მაგრამ იაკობს ქუთაისი მაინც თავისათ მიაჩნდა და „მამულის გულშემატკივრებმა“ მოუხერხეს მას „წლენობა“ ქანქართა განდიდებით, რაზედაც ის სიამოვნებით დასთანხმდა.

### „კუჭის“ საკითხი.

მიუხედავათ თავისი თეორიული „ეგუეჭობისა“ იაკობის კუჭისათვის მისმა ქუთათურმა დამფასებლებმა 2700 ქანქარამდე აუყვანეს „წლენობის“ სასყიდელი. ადმინისტრაციამ, როგორც გვახსოვს ეს გადიდებული ჯამაგირი არ დაუმტკიცა, რაზედაც ძლიერ გასწყრა ანუ გაჯავრდა იაკობი. დღეს იაკობი კეთილათ მოღვაწეობს ქალაქ ქუთაისში და იმედია არც იქაურ „პრესას“ სტოვებს უყურადღებოთ.

ისტორიკოსი.



# მესტვირული.

**სამგზავროთ მომზადება.**

პროვინციაში სამგზავროთ
ავიწყვე ფრთეთა წვერები,
მსურს შევამოწმო იქიდან
„მათრახში“ მონაწერები.
მსურს ვინახულო პირადათ
სოფლისა გაიძვერები,
მსურს ოდიშელსა ხუცებსა
შევკრიჯო გრძელი წვერები

**ავჭალას** მოვინახულებ
კნიაზ „დურმიშხან“-ნიკოსა,
კამეჩის „ნაიმასქნევი“
კარგს გუნებაზე იყოსა,
მოძღვარმაც იქნებ გინება
ჩემთანვე წამოიწყოსა
და „უჩიტელის“ დათხოვა
მცირე ხნით გადაიდოსა.

**ხაშურში** დეპოს ვიხილავ
და მოქეიფე ბიჭებსა,
„აკორდით“ შესუქებულსა
მსწრაფლ შეუხურებ ბეჭებსა,
ვეტყვი: თედორე რაჭველი
მათ ვერას მიანიჭებსა,
სხვა სამიკიტნო მონახონ
რისთვის მარხავენ ნ..ქ..სა.

**სურამში** „ვეჩერინკაზე“
გადავათენებ ღამესა
აშლილი „ჯიბის ნერვები“
თუ კარგათ დამიამესა;
თუ კაპეიკის ბუბლიკი
მანეთათ შემაჭამესა
და ეშმაკური განზრახვა
დროზე არ შემომწამესა.

**ჭიათურაში** გადავალ
ამით გულს მოეფონება,
გამოვიკითხავ: ფილიპე
ხალხს როგორ მოეგონება,
სასწორზე შავი მადანი
რამდენი მოეწონება,
თუ ვინ წასწყმიდა უფალმა,
ვისი ინება ცხონება.

**შორაპანს** მობუფეტესა
თავისი უჭრის გონება,
ვნახავ მას ჩემი ნათქვამი
რარიგათ მოეწონება
ვეტყვი რომ: სათაკილოა
მხოლოდ ქანქარის მონება
რომ კაცს არ აწყენს მცირედი
პატიოსნების ქონება.

**ყვირილის** საბედისწერო
„მათრახში“ მცირე თქმულიყოს,
მას შემდეგ რაც ეს ქალაქი
ხმალ-ცეცხლით მონათლულიყოს,
თუ კოლა წამომეჩვენა
იმისი ზურგი კრულიყოს,
მათრახის კუდი ურიცხვი
მას ზედან გადაკრულიყოს.

**სამტრედიაში** რო ჩავალ
ვიკითხავ „ჩორთიკელასა“,
(ქუთათელაძის ხსენებით
ამკიდა ხათაბელასა)
ამ რაიონის „დურმიშხანს“
აქ დავიბარებ ყველასა,
და თითოს გაუტკაცუნებ
მათ ზურგის ასაწველასა.

**ჯიხაიშს** მხოლოდ გავივლი
და გავიხედავ თვალათა;
ვნახავ, წიგნების ადგილას
რომელმა მოიკალათა,
ვნახავ ცნობილი ბეჟანი
თუ იქ ბრძანდება კვალათა,
თუ უძევს ორ კლასიანი
წინსკოლა მოსაპალათა.

ჯიხაიშიდან **ხონამდე**
სულ მცირე დარჩა მანძილი
სანამ ივანეს არ ვნახავ
არც მადა მომდის, არც ძილი;
მინდა შევსთხოვო ხონის პაპს
მასწავლებლობის ადგილი,
დანიშვნა, გადაყენება
მისი საქმეა ნამდვილი.

**სამეგრელოში** ვიკითხავ
ფოთელ მღვდელ ბობოხიძესა
და ნურვინ დამემდურება

თუ მოვუმატო სიგრძესა;
განა რიგია დრამისთვის
მღვდელი ფოთს ჩამოვიდესა?
მათრახის წვერით ჩამოვხსნი
მათ ხულიგანურ რიდესა.

აქედან რიონს გავცურავ
რომ გურიაში ვდიოდე,
გთხოვთ ნუ გაუმხელთ ნიკოკის
მე რომ იქ ჩამოვდიოდე.
წამებას დიდსა მპირდება
თუმც მე არ უნდა ვჩიოდე,
მაგრამ დრო მოვა ალავერდს
მასთან მე გადავდიოდე.

მაშ ეგრე, დაგვილოცევით
ჩვენი გზა დაბა-სოფლათა
მარტონი მივალთ სამგზავროთ
მე და მათრახი ობლათა,
თუ ვის ვაამებთ, ან თუ ვის
გავწურავთ ქირის ოფლათა,
შემდეგ ნომერში გვექნება
ესენი მოსათხრობათა.

ეშმაკი.



ქუთაისის „მეგალსტუკე“.

## ციმბირელის გოდება.

შრომის შვილი შორს, ციმბირში,
გადმომტყორცნა ბოროტ ძალმა.
და ტანჯვის ცეცხლს საწამებლათ
მიმცა პირში საზიზღარმა!
თან შიმშილი, თან სიცივე
მტრობა, დევნა, უგულობა...
ყველა ერთათ მიჭერს ყელში,
თითქო აქვთო შეთქმულობა!
მაგრამ ყველას ავიტანდი,
ვერ გამტეხდა ტანჯვა, ჭირი,
ერთხელ კიდევ რომ მენახა:
მამა, დედა, ცოლი, შვილი;
სამშობლო ცა მოკაშკაშე,
მოქარგული მინდორ-ველი,
მოჩუხჩუხე ნაკადული,
მიწა ჩემი გამომზდელი;
ამხანაგთ გვერდს მოვდგომოდი,
კვლავ მიმეცა ძმურათ ხელი,
მათთან ერთათ დამეძახა:
„ძირს მტარვალი, სისხლის მსმელი!“
მაგრამ, ვაი, ეს არ ძალმიძს,
თავს ვერ ვაღწევ მტრის ბასრ ბრჭყალებს,
და ვეძლევი მწუხარებას,
ცრემლები მწვავს ორთავ თვალებს!
მარა წუხილს ჩაგრულისას
გაიგონებს ვინმე განა,
მაშინ, როცა ზეცა ყრუა
და უგული—ეს ქვეყანა!?

ვ. ჩახრუხაძე.

# წერილები ეშმაკისადმი.

**გორდი.** ძმაო ეშმაკო, ასე გასინჯე, ღომიანი ქვაბებიც კი წაგვართო ცეცხლზე შემოკიდული. მერე როგორ ჩუმათ, როგორ მოხერხებულათ! ბოქაულიც, სტრაჟნიკების მამითადით, მოგვევლინა მის დასახმარებლათ და კარგათაც დაეხმარა. უნდა გენახა რა მხიარული იყო მამა ანტონი, როცა რთველი გაათავა. ასე წარმოიდგინეთ სტრაჟნიკებს 150 თუმანი აჩუქა. იმედია დააჯილდოვებთ საქმისამებრ თვისისა.

ჩიხლომე.

—

**მათხოჯი.** ჩვენში, ძმაო, სახელით გაუგონიათ მათრახ-კუდინი, თორემ იმისი გემო არავის გაუსინჯავს. საზოგადო დუქანში რომ გამოგზავნიდე გამგეც იხმარს, (რადგან ძლიერ სჭირია) და არგანჩიკ-კარტოჟნიკების მადლშიც ჩადგები.

შენი მახრა.

—

**სამიქაო.** ძმაო ეშმაკო!
რომ იცოდე ჩვენი გულის დარდები
იმედია მყისვე ჩამოვარდები.

საუკეთესო კაცათ მიგვაჩნდა ძველათ, ერთობის დროს და ახლა ისეთ დღეში ჩაგვაყენა, რომ გასაქანი აღარ გვაქვს. რაჟდენ სუხაძე, რასაკვირველია, თავს ახლაც პატიოსან კაცათ სთვლის, მაგრამ შენ მხოლოდ მის მოღვაწეობას მიხედე და ერთი შენებურათ.

X.

**ავჭალა.** ძმაო ეშმაკო! ნიკო კნიაზი დიდის მოკრძალებითა გთხოვს ერთი ავჭალაში ჩამოხვიდე და კამეჩის ამბავი გამოარკვიო. აგრეთვე სურს, (და თუ ძმა ხარ უარსაც ნუ ეტყვი) დუჰმიშხანული მეთოდის შესახებ ერთი ლექცია მანაც წაიკითხოს. მშვენივრათ იცის ამ საქმის თეორიაც და პრაქტიკაც.

მამა ლეჟავას შესახებ რომელი ერთი მოგახსენო. თუ ძმა ხარ ერთი ნახე ტიბიკონში თუ სწერია: მღვდელმა ეკლესიაში უთუოთ უნდა იგინოს დედ-მამაო. სოფელს, ძმაო, რამდენი ხანია უნდა სადმე უკეთეს ადგილას გადაიყვანოს მოძღვარი, მაგრამ ისიც არ შორდება. მასწავლებლის დათხოვისა და მირზოევის სახლის ინციდენტებს შენ თითონ გამოარკვევ თუ ჩამოხვალ.

მასწავლებელსაც ასე ჰგონებია, ეშმაკო, რომ სკოლაში ლოცვის მეტი კაცმა არაფერი არ უნდა ასწავლოს ბავშვებსო და ეს რასაკვირველია მოსაწონია.

კუდა.

---

**ქუთაისიდან-ხონამდე.** მათრახ-მწარე ეშმაკო! რა არის რომ ერთი ხონსა და ქუთაისს შუა არ იმგზავრე? ნუთუ გგონია, რომ აქეთკენ სამათრახონი არ არიან? როგორც გინდათ ისე იფიქრეთ, მარა აუცილებლათ საჭიროა ეწვიოთ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს: 1) წამოხვალთ თუ არა ქუთაისიდან, პირველათ შეუხვიეთ ს. მაღლაკში სულიერ მამა ისიდორე ჟორჟოლიანთან და კითხე: რათ ახდევინებ პოლიციის ძალით გუბელებს, განსვენებული, თქვენი სიძის 1905 წლის ღრამას, 600 მ. ის საბუთად თავის გაუმაძღარ მუცელს დაასახელებს, თქვენ კი თქვენებურათ უცხუნეთ და უცხუნეთ რამდენიც შეიძლოთ; კარგი იქნება თუ 50 წვეთ კუდინსაც მიაღებინებ. 2) აქედგან გაივლით ს. გუბში და ინახულებ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის კომისიის წევრთ: პავლე ბერაძეს და ლევან აბზიანიძეს და კითხეთ: რისთვის „შეიმასქენით“ პირველმა 55 და მეორემ 40 მანეთითქო?

პირველი გეტყვისთ: „აქეთაც, იქითაც“ (ასე იცის) ცხრა ხატზე დაგიფიცებთ რომ მარტო მე არ შეიმისქნიაო, მარა პასუხათ აუცილებლათ მათრახი უნდა უცხუნო. მეორე გეტყვის: მართალია, მეც „იმასვქენი“, მარა იმიტომ რომ სხვებმაც იმასქნესო. ეს ვერაფერი თავის გამართლებაათქო, და ამ ვაჟბატონს ყველაზე მეტს უცხუნებთ და თან 70 წვ. კუდინის სითხეს მიაღებინებთ, რომ კვლავ არ გაბედოს ასეთი საქმე. 3) იქვე ნახავთ მამა ექვთიმე ლეჟავას და ეტყვით: ნუთუ არ გახსოვს ის დრო, როდესაც მღვდელ ხაზარაძეს დუელში იწვევდი ადგილზე რომ გეცილებოდა და მრევლს ეფიცებოდი: ოღონდ მე ამირჩიეთ და ორ მანეთის მაგიერ თითო მანეთს გადაგახდევინებთოთქო? ეხლა რათ ახდევინებ ორ-ორ მან. და არც სამსახურს უსრულებთქო? ის გიპასუხებსთ, რომ ფულს მე ხაზინის საშუალებით ვღებულობ და ნაკლები რომ ავიღო,—მთავრობა გამიჯავრდებაო. ის ერთობ ფარისეველი კაცია და არ დაგაჯეროს იცოდე. მასაც მოსცხე და 25 წვეთი კუდინის სითხეც გადააყლაპვიე. 4) აქედგან გაივლი ს. კუხში და ინახულებთ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგე—დირექტორ კოტე ჭინჭყლიშვილს შეეკითხე: რა უქნა იმ 6,000 მანეთს, რომელიც 12,000 კოლოფი თესლის ყიდვის დროს შეიმასქნა, ამხანაგობის, თითო კოლოფი ნაყიდია 50 კ. ხოლო ანგარიშში შეტანილია 2 მანეთი. ის გიპასუხებთ: იურიდიულად ამას ვერ დამიმტკიცებთო, მაგრამ თქვენ მაშინ გაახსენეთ, მისი ამხანაგი ცომაია. მაშინ კი გაფითრდება კოტე და იტყვის: ვა! ამ მამა ოხერმა ეშმაკმა საიდგან გაიგო ეს ჩემი საიდუმლოვო?!! მაგრამ ამ დროს გამოაფხიზლებთ თქვენი მწვავე მათრახის კუდით და კუდინის სითხესაც მიაღებინებთ რაც ეკუთვნის ასეთ ვაჟბატონს. თან დაპირდით კიდევ 27 აპრილისათვის, როდესაც ამხანაგობის კრება იქნება მოწვეული და უფრო დაწვრილებითაც „გამოიმასქნავენ“ ბ. კოტეს.

მგზავრი.

---

**თელავი.** ძმაო ეშმაკო! მართალია ბევრი საქმეები გაქვთ, მაგრამ თელავსაც ნუ დაივიწყებ, გვესტუმრე და გააცანი თქვენი თავი აქაურ ვაჟბატონებს.

პირველათ ახლათ დაარსებულ სამკითხველოში მობრძანდით და შენი მათრახით გაახელიე თვალები ბიბლიოთეკის გამგეს და შენი „ეშმაკის მათრახის“ 22 ნომერი სანამ არ გამოაჩინოს სცემე, მაგრამ ფრთხილათ კი თორემ ნააფიცრალია და... მეტის მეტათ გაჭორიკანდენ ჩვენი ქალები, მხოლოდ შენ მათრახს შეუძლია მათი მორჯულება და აბა შენ იცი, ნუ შეგვცოდვება.

ვანელი ბაგრატა.

---

**დ. აბაშა.** ძმაო ეშმაკო! გვიშველე რამე თორემ მეტის მეტათ გაგვიჭირვა საქმე ფოსტალიონმა გრიგოლ მიმინოშვილმა რაღაც ოხერი „ჩორნი კაბინეთია“ სწორეთ ჩვენი ფოსტა არის. ჩვენი წერილები ვერც ერთი ვერ გადურჩა მ იმინოშვილის კლანჭებს.

ერთი წერილი არ გამოეპარება, რომ არ გახსნას და არ წაიკითხოს. ზოგიერთ წერილში ფულებსაც პოულობს და ჯიბეში იყრის. წერილებს ზოგს ყრის და ზოგს აგზავნის. უსათუოთ საჭიროა მაგრათ გაწკეპლოთ შენი მათრახით და შემდეგ სპერმაკუდინიც მიაღებიოთ. იმედი გვაქვს ეს საშუალება გასჭრის და წერილების გახსნას თავს დაანებებს.

აწი არ იზამს.

---

**სად. ბალაჯარა.** ძმაო ეშმაკო! თქვენმა უებარმა წამალმა ბევრზე იქონია გავლენა. ძლიერ საჭიროა რამოდენიმე ყლაპი „სპერმაკუდინი“ სად. ბალაჯარის მესამე კლასის ბუფეტის ხაზეინებისთვის, ერთი იმათგანი გაიძახის: „ერთობის კავშირია, თუ რაღაცა, ქუთაისში არ მომასვენა და აქაც არ მასვენებსო. რომ მცოდნოდა აქაც ერთობა იყო, ბუფეტს არ ავიღებდიო. მეორე კი მოსამსა-

ხურეებს ლანძლავს და თან ეუბნება: ,,თქვენი სუფთა ოთახი ჩვენ დაგვიცალე და თქვენ ნესტიან ოთახში მიბრძანდით, საზოგადოთ მუშებს ასეთი ოთახები უხთებაო''. ველით შენ განკარგულებას ბალოჯარის ბუფეტის მოსამსახურეები.

ძმაო ეშმაკო, თუ ძმა ხარ
აგემე იმათ მათრახი,
,,კუდინიკ'' თან იქონიე
იმათთვის თითო ჩანახი.

ჯერ კოლას გვერდით გაკარი
მწვავე მათრახის წვერია,
მუშებს რომ ლანძღვით ისტუმრებს
უთხარი: სად უწერია?!

შემდეგ ლავრენტის აგემე
შენი ,,კუდინის'' ,,კაპლია''
კავშირის საბჭოს დაეძებს
მისგანა ესლა გვაკლია.

ტ. მეგრელის-სკუა.

—

**საყულის საზოგადოებიდან** (ქუთ. მაზრა). ძმაო ეშმაკო! თუმცა შენმა მათრახის კუდმა ჩვენში ბევრს აუწვა ზურგის კანი, მარა მაინც ნუ დაგვივიწყებ, ხშირ-ხშირათ გვეწვიე, რომ დანარჩენ „ბაშიბუზუკებსაც“ პატივი ვცეთ შენი მწარე მათრახის კუდით. პირველათ ოფიშქვეთს ეწვიე შემნახველ-გამსესხებელ კასას. მოახდინე რევიზია და გაგვაგებიე, ვის რამდენი გაუტანია ფული, რამდენია წევრი და ან ვის რა ეხება მისი. თუმცა მისი გამგეები. მღვდელი რაჟდენ სანებლიძე, მარკოზა და ნოე გეტყვიან გასაღები დაგვეკარგაო, მარა შენ მაინც უხილავათ ჩაძვერი შიგ და გვაცნობე მათი საიდუმლოება. მერე უცხუნე და უცხუნე შენი მათრახი, რომ მომავალში მაინც არ მოკიდონ ხელი ისეთს საქმეს, რისაც არაფერი გაეგებათ. იქვე გზაზე ნახავ ანტონს და ნიკოლოზს მისცხე მათრახი, რადგან წონაში სტყუიან. ნახავ აგრეთვე მღვთისმშობლის ეკკლესიის მნათეს უცხუნე მათრახი და დაარიგე ეკკლესიის ფულს ჯიბით ნუ ატარებს. გაუარე ნესტორ ნიჟარაძეს და თუ „ძლიერი ხატის“ გვირგვინოულის არ შეეშინდება, ლონივრათ უქირე მათრახი და უთხარი, ხატი ჯიბით ნუ დააქვს და ხალხს მისი სახელით ნუ ატყავებს; ხატის ალაგი ეკკლესიაა-თქო. საყულიაში რომ მოხვიდე პირდაპის მეაფთიაქე ალექსანდრეს ეწვიე უცხუნე და უცხუნე რაც შეიძლება ბევრი და დაარიგე ნუ აძვირებს წამალს, აფთიაქს კარტოჟნიკებთა ბუდეთ ნუ ხდის და იარმუკას ხელი უშვას, ნუ ებლაუქება. ნუ დაიზარებ და მესამე სოფელ ბაფსაც ეწვიე. დიმიტრი და ნიკიფორე იკითხე თუ ბანკის ადგილებს შეღავათით არ ცემენ გლეხებზე, მოიმარჯვე ხელი უქირე და უქირე მათრახი სანამ არ მოიქანცო აქ ბევრს უნდა მათრახით პატივის ცემა, მარა ახლა ეს ვიკმაროთ.

პუჩია.

**დ. ჭიათურა.** ძმაო ეშმაკო, მიიღო თუ არა ეს წერილი, მყისვე გამოექანე ჭიათურისკენ და თან შენი კურთხეული „სპერმაკუდინი“ ბლომათ წამოიღე. სეითა მექუდე ძალიან ცუდათ არის. ამას წინათ ნოქარმა თავის ხვედრი ფული მოსთხოვა, ის გაიქცა პოლიციაში და იქ განაცხადა ჩემი ნოქრები „ბომბებს“ აკეთებენო. ნოქრებს ამის შემდეგ, რასაკვირველია, ვირის აბანოში უკრეს თავი. თვით ბ. სეითა ამ ამბის შემდეგ ცუდათ შეიქნა და ლოგინათ ჩავარდა. თუ უშველის შენი სპერმაკუდინი, თორემ ცუდათაა მისი საქმე. გთხოვს ორასი წვეთი მიაღებიო ერთათ, რომ იქნება მალე ფეხზე წამოდგეს.

ნოქართაგანი.

—

**თფილისი.** ძმაო ეშმაკო! ეგ ვერაფერი ამბავია, რომ თქვენს საბრძანებელში, მაინცა და მაინც ყურადღებას არ აქცევთ ზოგიერთ ვაჟბატონების ქცევას, მაშინ, როდესაც მთელი პროვინციები და ქალაქები არ დაგიტოვებიათ შემოურებელი.

საყვედურის ღირსი ხართ. როცა გოლოვინის პროსპექტზე გაივლით, რატომ ყურადღებას არ აქცევთ ზოგიერთ ალებს, რომ დაარღვიეს საერთო დადგენილება მაღაზიას ალებენ ადრე, და ექვსის მაგიერ 9-10 საათამდე აღარ კეტავენ. აუცილებლათ უნდა გაამათრახოთ ბ-ნნი. ქაცახიანცი, იშხანოვი, ო-ბონ-მარშე, კუხიანიძე და ზურაბოვი თავისი ნოქრებით, რომლებმაც კარგათ იციან (ნოქრებმა) თავიანთი მოვალეობა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევენ. ყველაზე მეტათ, ბატონი კუხიანიძე უნდა დააჯილდოვოთ თქვენი მათრახის წვერით. ასე წარმოიდგინეთ ეს ვაჟბატონი კვირაობითაც კი ალებს მაღაზიას...

ნოქრებზე კი წვეთები უფრო გასჭრის, და მათრახის გარდა კიდევ მიაღებინეთ რამდენიმე წვეთი სპერმაკუდინი.

რ. ჯ.

**ს. აბედათი.** ძმაო ეშმაკო! არ გვინდოდა თქვენი შეწუხება, მარა რადგან ჩვენი მოძღვარი, კვარაცხელიას, ჭკუაზე მოსაყვანი წამალი ვერსად ვერაფერი ვიშოვნეთ, იძულებული ვხთებით ისევ თქვენ მოგმართოთ დაუყონებლივ მოგვაწოდეთ ერთი ჩაის სტაქანი სპერმაკუდინისა შეიძლება ჩვენი „შეპრეკილი“ მოძღვარი ჭკუაზე მოიყვანოს, რომ მიღებული დრამის ფული ხელმეორეთ არ მოსთხოვოს მრევლს. თუ იმდენ წყალობას იზამთ, რომ თვითონ ჩამოხვალთ თქვენი მათრახით, ამას რაღა ემჯობინება აქ სხვასაც ბევრს ნახამთ სამათრახოს. პირველათ შედით ბესას დუქანში და ვინც ნახოთ გარეთ დამჯდარი უცხუნეთ ყველას, რადგან დილიდან საღამომდე აქ ყრიან გულხელდაკრეფილი თვითონ ბესას კი იმდენი უნდა უცხუნო, რომ ცერცვივით მაღლა ხტოდეს. აქედან მიდი გაიოზის სასახლეში, ის მაშვინვე ჯორის ამბავს მოგიყვება, უბრალო პირები თუ დაგისახელოს ჯორის ქურდათ, არ დაუჯერო იმ წუთში უცხუნე მათრახის კუდი, მხოლოთ უფრთხილდი, თუმცა მღვდელია მაგრამ

რევოლვერს მაინც ზედ ატარებს. ამასთანავე დავითიც არ დაივიწყო. თავი ღმერთათ მოაქვს, რაკი ძმა მამასახლისია და როცა ზურგი აეწვება შენი მათრახით, მაშინ მიხვდება რომ ღმერთი არ არის.

**კვაუთელი**

**დ. სამტრედია.** ძმაო ეშმაკო! აბა რა გითხრა სამტრედიის შესახებ. შენც კარგათ იცი, რომ ასეთი ახირებული დაბა მთელ ქუთაისის გუბერნიაში არ მოიპოება. არა მგონია ისეთი კურიოზები სადმე მოხდეს, როგორიც აქ ხდება. დამთავრდა თუ არა აქაური „როტონდა“ საიდგანღაც გაჩნდენ სცენის მოყვარეები და შენ მტერს და დუშმანს, რა დღეს ჩვენ ისინი გვაყენებენ. სწორეთ ნერვები აგვიშალეს ყველას. როგორ მართავენ წარმოდგენებს ერთი გაყურებინა ნეტა? დარწმუნებული ვარ ვერ მოითმენ რომ ზედ სცენაზე არ გაიქნიო შენი მათრახი. ამას წინათ ერთი წარმოდგენა სამიკიტნოში გამართეს, (მართლა წარმოდგენა არ გეგონოს ქეიფი გამართეს) დათვრენ (ალბათ თფილისელ არტისტებისგან გადაულიათ ეს მაგალითი) დაიწყეს ტრაბახი და საქმე კინაღამ ჩხუბით გათავდა. ამ დროს მე მივაძახე „მოვიდა ეშმაკი მეთქი“ და გიყვარდეს იმათ დღე დაადგათ უკან არ მიუხედიათ ისე მოქუსლეს. ასე ეშინიათ შენი მათრახის და ურიგო არ იქნება ხშირ ხშირათ, რომ გადაკრა.

**შენი „ბეკოლიე“**

**ს. კუხი.** პატივცემულო ეშმაკო! ცოტას გემდურით რა დაგიშავეთ, რომ ერთხელ მაინც არ ჩამოინავარდე ჩვენ სოფელში. თუ ეხლაც არ გასქრის ჩვენი თხოვნა და დაგეზარება ჩამოსვლა, მაქედან მაინც მოუქნიე შენი მადლიანი მათრახი ჩვენი ბანკის გამგეთ გორდაძეს და შავლაყაძეს. ისე კი რომ ვაი დედა იძახონ. ახსნა განმარტება არ უნდათ თვითონ მიხვდებიან ყველაფერს.

**ვერმიცანი.**

## ღ ი ა   წ ე რ ი ლ ი

### ბ-ნ აკაკის.

ქრისტე აღსდგა!

დიდათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი! თქვენმა უკანასკნელმა ლექსმა, საქართველოში „პოეტთა“ გამრავლების შესახებ, სამწუხაროთ მოლოდინი გამიცრუა. ცხადია თქვენ ძლიერ გულნატკენი ბრძანდებით „ეშმაკებსა და კუდიანებზე“, ხოლო ასეთი წყრომა სრულიად დაუმსახურებლათ მიგვაჩნია.

მართალია მე არ ვეკუთნი იმ ჯგუფს, რომელიც თქვენი აზრებით ამაყობს და რომელიც თქვენგან „ღვთის რისხვას“ „ღვთის წყალობათ“ მიიღებს, მაგრამ თქვენს განვლილ მოღვაწეობას მეც შესაფერ პატივსა ვცემ. ეს თავისთავათ ცხადია. მე არა ვარ არც „ქართული სტიპენდიის“ მაძიებელი და ამიტომ იმედი მაქვს ჩემს სიტყვებში მაინცა და მაინც დიდ ეჭვს არ შეიტანთ.

მიუხედავათ ჩემი თქვენდამი პატივისცემისა აშკარათ ვხედავ, რომ ეს ათი-ხუთმეტი წელიწადია თქვენი მოღვაწეობა ახალს არაფერს მატებს თქვენ სახელს, ხოლო ამ ბოლო წლისა კი პირდაპირ აკრთობს (მეტი რომ არა ვსთქვათ). მას შემდეგ, რაც თქვენი მუზა „ნიშადურის“ ქაობამდე ჩამოქვეითდა, მან ბევრი დაჰკარგა მკითხველის თვალში და რამდენიც ხანგრძლივ-მრავალ-ნაყოფიერი იქნება თქვენი ასეთი მოღვაწეობა, იმდენი მეტი ხარჯი მოუვა უკვე მოხვეჭილ სახელს. ეს სამწუხარო მოვლენა, დამერწმუნეთ, რომ არც ჩემთვის არის სასიამოვნო.

„ნიშადურის“ მე 27 ნომერში დაიბეჭდა ერთი სამარცხვინო ლექსი „მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე“. ლექსს თქვენი სახელი აწერია. მე ეს ლექსი ბ-ნი გუნიას ოინბაზობას მივაწერე. მეგონა იმან თქვენი სახელი რეკლამათ იხმარა და თქვენ არაფერი იცოდით ამის შესახებ. დღეს კი ცხადია „მეჩონგურე“ თქვენი თანხმობით დაბეჭდილა და გუნიას დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი უადგილო სურვილის ასრულებით ჩირქი მოსცხო თქვენ სახელს. „ეშმაკები და კუდიანები“ იმდენ პატივს კი გცემენ ბ-ნო აკაკი, რომ ასეთ უზნეო ლექსს არ დაგიბეჭდავდენ.

ჩვენ აქვე მოგიყვანდით იმ თქვენ სანაქებო ლექსს, რომ ეს მკითხველთა შეურაცხყოფათ არ მიგვაჩნდეს. მით უფრო გვეწყინა თქვენი სახელით ისეთი პასკვილის გამოქვეყნება, რომ რეაქციისა და ზნეობრივი გათახსირების ხანაში ისედაც ზნე დაცემულ პირებს ზედ-მეტ საბუთს აძლევს გარყვნილებისას.

ახლა ორიოდე სიტყვა „პოეტთა„ გამრავლების შესახებ.

„ეშმაკებისა და კუდიანების“ მხრით თამამათ შემიძლია მოგახსენოთ, რომ არც ახლა და არც არასოდეს მათ თავი პოეტებათ არ მოქონდათ. იმათ მოსწონთ თქვენი მუზის აღმაფრენა, თქვენი პოეტური გონება-მახვილობა და ოცნებათა სიმრავლე, მაგრამ როგორც გამიგონია არასოდეს მას არ შენატრიან. ან კი რა ეშმაკების საქმეა „ოცნებათა სამთავროში“ ნავარდი, როცა საჭიროა აქ, დედამიწაზე გახედ-გამოხედვა. დიახ, ჩვენი „მუზა“ არ არის მონავარდე მუზა ბ-ნო აკაკი, მაგრამ არც ისე დაბლა ეშვება **„ბნელი კედლებისაკენ“** როგორც ეს თქვენმა აღმამფრინავმა მუზამ ინება.

ამგვარათ, ოცნების სამთავროში ჩვენ ფეხი არ შემოგვიცდება, პატივცემულო მგოსანო, მაგრამ ამ ცოდვილ ქვეყანაზე ნება მოგვეცით უნდა ლექსათ, უნდა პროზათ გამოვსთქვათ ჩვენი და სხვისი გასაჭირი.

თქვენი ლექსი რომ საზოგადო ხასიათის არ ყოფილიყო მე, რასაკვირველია, ამ წერილით აღარ შეგაწუხებდით.

თქვენი პატივის-მცემელი **ეშმაკი.**

II

### ბ-ნ ბებურ ბებურიშვილს.

გაზ. „ზაკავკაზიეში“ განცხადების სახით დაიბეჭდა თქვენი შენიშვნა „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის მიმართ, რომელშიაც გვისაყვედურებდით-საჟედიატორო სამართლის დაყოვნებას. საჭიროთ მიგვაჩნია გაცნობოთ, რომ გარდა კორესპონდენტის წერილისა რედაქცია ელოდა სხვა, დამატებითი ცნობებს, რამაც გამოიწვია თქვენი საყვედური.

დღეს ყოველივე მზათ გახლავთ და როდესაც გნებავთ სასამართლოს მაშინ შეკრებთ. ამასთანავე რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“ მოითხოვს თქვენგან: ვინაიდან ერთმა თქვენმა მედიატორეთაგანმა, სახელდობრ ბ-ნმა პართენ გოთუამ სამართლიანათ დაიმსახურა თფილისის პრესის უნდობლობა რომ მეტი არა ვსთქვათ, რადგანაც ის ლაჩრულათ გაექცა სამართალს სასტიკი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლათ მასთან საქმის დაჭერას და თხოვს შეცვლილი იქნეს ის ვინმე საიმედო პირით.

**„ეშ. მათ. რედაქცია.**

# ეფისკოპოზის სიზმარი.

(დასასრული. იხ. „ეშმ. მათრ." № 25.)

(როდესაც ფარდა აიხდება, სცენა ცისფრათ არის განათებული. შუაგულზე სასწორია. მარჯვნით საუცხოვო ბაღია მდინარეებით,—ეს არის სამოთხის ბაღი. მარცხნით ცეცხლის ალი ტრიალებს,—ეს არის ჯოჯოხეთი. წინ გალავანია და შიგ კარებია დატანებული. კარებს დიდი ბოქლომი ადევს და შორი-ახლოს პეტრე მოციქულია გაჩერებული. გარედან არახუნებს ვიღაც და ამავე დროს ისმის ხმა: „პეტრე, პეტრე!" პეტრე მოციქული კარს აღებს, შემოდის მედიდურათ ეფისკოპოზი მიტრით თავზე და პეტრეს ახედ-ჩახედავს).

**ეფისკოპოზი.** (პეტრეს) პეტრე მოციქული სად წასულა? (პეტრე ჩუმათ ახედ-ჩახედავს ეფისკოპოზს).

**ეფისკოპოზი.** (იმეორებს) შენ არ გესმის? სად არის პეტრე მოციქული?

**პეტრე მოციქული.** (წყნარათ) ის შენს წინაშე სდგას.

**ეფისკოპოზი.** (ბოდიშით) უკაცრავათ, ვეღარ გიცანით. გთხოვთ, მიცნობდეთ, მე...

**პეტრე მოციქული.** (გააწყვეტინებს) მე შენ დიდი ხანია გიცნობ, დიდი ხანია.

**ეფისკოპოზი.** მაშ სამოთხის გზა მასწავლეთ და მერე ჩემს ადგილს იქ მე თვითონ მოვნახავ.

**პეტრე მოციქული.** ჯერ მოითმინეთ, შენი ცოდვა და მადლი აი იმ სასწორზე აიწონება (სასწორზე უთითებს) და შემდეგ დავინახავთ. იქნება სამოთხის მაგიერ ჯოჯოხეთში დაგვჭირდეს შენი გაგზავნა.

**ეფისკოპოზი.** (გაოცებული) თქვენ მე მგონია ვერ მიცანით!

**პეტრე მოციქული.** (გააწყვეტინებს) გიცანი, რიგორ ვერ გიცანი, შენ ის არა ხარ, საბრალო მღვდლებს რომ ტყავს აძრობდი, მონასტერი უნდა აეაშენოვო?

**ეფისკოპოზი.** კიდევაც ავაშენებდი, მაგრამ უფალმა არ დამაცალა.

**პეტრე მოციქული.** კარგია ერთი. იქ ქვეყანაზე კიდევა აქვს ტყუილს გასავალი, მაგრამ აქ ტყუილებს თავი უნდა დაანებო.

**ეფისკოპოზი.** თუნდა კიდეც არ ამეშენებია მონასტერი, მე სხვა მადლიც ბევრი მიმიძღვის, რომ რაღაც სასწორებზე არ დამიწყოთ აწონვა, თითქოს უბრალო დიაკვანი ვიყო, და პირდაპირ სამოთხეში გამგზავნოთ.

**პეტრე მოციქული.** წარმოიდგინე, უბრალო ხშირათ სამოთხეში მიდიან და შენისთანა გაჯგიმულ ეფისკოპოზებს კი უფრო ხშირათ აი იქით (ჯოჯოხეთისაკენ უთითებს) ვგზავნით ხოლმე.

**ეფისკოპოზი.** როგორ? ეფისკოპოზი და ჯოჯოხეთი? ამით ხომ თქვენ თვითონ უთხრით ნიადაგს სარწმუნოებას! არა, მე პირდაპირ უფლის წინაშე უნდა წარვსდგე.

**პეტრე მოციქული.** ტყუილათა ჩქარობთ. სანამ აი იმ სასწორზე არ აიწონება შენი საქმენი, მანამდე უფალს ვერ იხილავთ. თუ მადლმა დასძლია, უფალს მხოლოთ მაშინ იხილავ, თუ ცოდვამ დასძლია, მაშინ პირდაპირ ჯოჯოხეთისაკენ გაგაქანებენ ეშმაკები. (არახუნებს ვიღაც. პეტრე კარს აღებს და შემოდის ივანე).

**ივანე.** (ეფისკოპოზს თავს უკრავს) ყოვლად სამღვდელო, როდის მოხვედით აქ?

**ეფისკოპოზი.** (ხელს უწვდის) ხელზე მთხვევა რათ დაგავიწყდა!

**პეტრე მოციქული.** (ხელს ჩამოაშვებიებს) აქ ყველანი სწორნი არიან.

**ეფისკოპოზი.** (პეტრე მოციქულს) ნუ გეწყინებათ, პეტრე და ამგვარის ქცევით თქვენ ხალხსა რყვნით.

**პეტრე მოციქული.** ხალხი თქვენისთანა ანაფორიანებმა გარყვნეს და დაამახინჯეს ის სარწმუნოება, რომელიც ჩვენ ხალხს მივეცით.

**ეფისკოპოზი.** (გაკვირვებული მხრებს აიჩეჩავს). ჩემი მოსამსახურის ნამოქმედარიც იმ სასწორზე უნდა ასწონოთ და ჩემიც?

**პეტრე მოციქული.** აქ მოსამსახურე და ბატონი არ არსებობს. აქ ყველა ტოლია და სწორი.

**ეფისკოპოზი** (ივანეს) ივანე, ერთი ეს მითხარი, ჩვენ სადა ვართ!

**ივანე.** მე და შენ დავიხოცეთ და ახლა საიქაოსა ვართ.

**ეფისკოპოზი.** მერე რავა მოგწონს პეტრე მოციქულის ლაპარაკი! რას გავს ეს?

**ივანე.** შე დალოცვილო, დაგავიწყდათ სამღვთო წერილის სიტყვები: წინანი უკანა და უკანანი წინაო? ქვეყანაზე შენ ბატონი იყავი და მე შენი მორჩილი. აქ ბატონი მე უნდა ვიყო და შენ ჩემი მორჩილი. გაიხადე ტანისამოსი, მე უნდა ჩავიცვა და შენ კიდევ ჩემი ანაფორა ჩაიცვი.

**ეფისკოპოზი.** (პეტრეს) როგორა ფიქრობთ, მოციქულო, მადლი დაძლევს ჩემი, არა?

**პეტრე მოციქული.** (ივანეს) ივანე, შენ გაეცი ეფისკოპოზს ამის პასუხი.

**ივანე.** რის პასუხი, მოციქულო?

**პეტრე მოციქული.** თქვენი ცოდვა-მადლი აი იმ სასწორზე უნდა აიწონოს და როგორა ჰფიქრობ, შენს ეფისკოპოზს ცოდვა მეტი აქვს, თუ მადლი?

**ივანე**. ტყუილის თქმა შეიძლება აქ, თუ არა?

**პეტრე მოციქული**. რასაკვირველია, არა.

**ივანე**. აბა ჩემი ეფისკოპოზის მადლს მე არ მოვსწრებივარ და ცოდვები კი... ასი ფუთი მაინც გამოვა.

**ეფისკოპოზი**. (ივანეს ჩუმათ მუჯლუგუნებს წაჰკრავს) რასა როშავ, შე ღმერთ გამწყრალო, რასა, ჰა?

**ივანე**. ეფისკოპოზო, იქ რომ მაგინებდი და მლანძღავდი, ისე კი ნუ გგონია აქაც. მალე ჩამოგართმევ მაგ ეფისკოპოზობას. აბა რავა გეგონა?

**ეფისკოპოზი**. აი ეშმაკმა კი დასწყევლოს შენი თავი და ტანი (ამ დროს გამოცვივდებიან ეშმაკები და შემოეხვევიან ეფისკოპოზს გარშემო).

**ერთი ეშმაკი**. რისთვის მახსენებდი, რა გინდა ჩემგან?

**ეფისკოპოზი**. (იგერიებს) იქით გამეცალე, წყეულო სულო!

**მეორე ეშმაკი**. რისთვის მახსენებდი, რა გინდა ჩემგან?

**ეფისკოპოზი**. იქით გამეცალე წყეულო სულო!

**მესამე ეშმაკი**. რისთვის მახსენებდი? რა გინდა ჩემგან!

**ეფისკოპოზი**. იქით გამეცალე, ბოროტო სულო!

(პეტრე მოციქული ხელს უქნევს, ეშმაკები ჩამოშორდებიან ეფისკოპოზს, განზე გადგებიან და ღიმილით მიაჩერდებიან).

**ერთი ეშმაკი**. საჩვენო სუნი უდის, ეშმაკებო, საჩვენო!

**მეორე ეშმაკი**. თვალებშივე შევატყვე, რომ ჩვენია.

**მესამე ეშმაკი**. მაგას რომ ცეცხლზე ავაშიშხინებ, დასტკბი სულო და გულო!

**მეოთხე ეშმაკი**. (ეფისკოპოზსს ხელს უქნევს) წამოდი, წამოდი, რაღას უცდი? ჩვენი ხარ და ჩვენი!

**მეხუთე ეშმაკი**. (მიუახლოვდება და მუცელზე ხელს დაარტყამს) როგორ გაუსუქებია ლიპი! გიხაროდესთ ეშმაკებო!

**მეექვსე ეშმაკი**. (უკანიდან მოეპარება და კისერში ხელს წაჰკრავს) აბა ქონი ამასა აქვს! შეემატოს ჯოჯოხეთს! (შემდეგ ეშმაკები მოუახლოვდებიან, ხელებში ხელსა სტაცებენ, ციბრუტივით დაიწყებენ ტრიალს და ჰყვირიან: „შენლა გვაკლდი ჯოჯოხეთში, ხომ ჩაგიგდეთ ახლა ხელში! შენლა გვაკლდი ჯოჯოხეთში, ხომ ჩაგიგდეთ ახლა ხელში!“

**ივანე**. (ღიმილით ტაშს უკრავს) ჩაბუქნე, ჩაბუქნე ეფისკოპოზო! აბა რავა გეგონა! შეგრჩებოდა ყველაფერი? (სამოთხის მხრიდან საყვირი მოისმის. ეშმაკები განზე გადგებიან. გამოჩნდება მთავარ ანგელოზი და უკან მოსდევენ ანგელოზები. სასწორს მიუახლოვდებიან).

**მთავარ ანგელოზი**. აბა მოიტანეთ მადლი და ცოდვა. (ანგელოზები სამოთხისაკენ მიდიან, ეშმაკები ჯოჯოხეთისაკენ გარბიან. სცენაზე სიჩუმეა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ანგელოზებს მოაქვთ პატარა პარკი, ეშმაკები კი სიხარულითა და ხტუნვით მოარბენინებენ დიდ ტომრებს).

**ეფისკოპოზი**. (ივანეს) ივანე! ბარემ ახლავე დაიხურე ჩემი მიტრა, როცა გკითხონ, მე ვარ ეფისკოპოზითქო, ასე თქვი.

**ივანე**. (ხელებს აქნევს და იქით იწევს) როცა გაბრიელ მთავარ ანგელოზი დამახურავს, მაშინ დავიხურავ.

**მთავარ ანგელოზი**. (ანგელოზებს) მარტო ეგ არის? (ანგელოზები მოწყენილი დგანან და ხმას არ იღებენ. ეშმაკები კი ერთმანერთს ღიმილით შეჩერებიან).

**ერთი ეშმაკი**. წვრილ-წვრილი ცოდვები ბევრია, მაგრამ აღარ წამოგვიღია, ესეც კმარა. დავაწყოთ სასწორზე?

**მთავარ ანგელოზი**. საჭირო არ არის. (უჩვენებს ეფისკოპოზზე). თქვენია. (ანგელოზები გატრიალდებიან და თან მიჰყავთ ივანე).

**ეფისკოპოზი**. სადაური სამართალია! მაგისი ცოდვა-მადლი არ აგიწონიათ და სამოთხეში მიგყავთ? (ანგელოზები მოიხედავენ, პასუხს არ გასცემენ და მიდიან).

**ერთი ეშმაკი**. იმისი ჩვენ არაფერი გვაქვს. ორი პატარა ბოხჩა გვიგდო და ისიც თაგვებს შეუჭამიათ.

**ეფისკოპოზი**. (პეტრეს) ეს მომიზღვეთ ჩემი ხანგრძლივი სამსახურისათვის?

**პეტრე მოციქული** როგორიც შენი სამსახური იყო, საზღაურიც იმისი შესაფერისია.

**ეფისკოპოზი**. ამისთვის ვუარვყავი ქვეყანა?

**პეტრე**. შენ ზეცა უარჰყავი ქვეყნისათვის.

**ეფისკოპოზი**. ამისთვის შევუდექი ქრისტეს?

**პეტრე**. (ცოტა გულმოსული) ქრისტეს ნუ ახსენებ! ქრისტეს სარწმუნოება ეფისკოპოზებს არა სცნობს. ის სარწმუნოება, რომელსაც შენ ემსახურებოდი თქვენივე მოგონილია. ჩვენ კი თავიდანვე ვუარყავით თქვენი სარწმუნოება.

**ეშმაკები**. აბა წავიდეთ ჯოჯოხეთში (ოთ ეშმაკი ზურგზე შეახტება, სხვები შემოეხვევიან და ჟრიამულით მიჰყავთ ჯოჯოხეთისაკენ. სცენა ბნელდება. ფარდა ეშვება. ფ რდა როცა აიხდება, სცენაზე ცოტა ბნელა და ეფისკოპოზს მაგიდასთან სძინავს)

**ეფისკოპოზი**. (ძილში) პეტრე, პეტრე! (ჩრა-

ტინებს) პეტრე, პეტრე მიშ... მიშ... (გამოელვიძება და აქეთ იქით იხედება) უჰ, დაღამებულა კიდეც. (შუბლზე ხელს ისვამს) გაირყვნა ხალხი, ქვეყანა წახდა. მეორეთ მოსვლის ნიშნებია. არასოდეს მე ამისთანა სიზმარი არ მინახავს. (ამდროს შემოდის ბლაღოჩინი და „ეშმაკის მათრახი“-ს ნომერი უკავია ხელში)

**ბლაღოჩინი.** (შემოსვლისა თანავე) ყოვლად სამღვდელო, მეორეთ მოსვლის ნიშნებია სწორეთ, მეორეთ მოსვლის. (ხელზე ემთხვევა).

**ეფისკოპოზი.** რა მოხდა, რა ამბავია?

**ბლაღოჩინი.** რაღა რა ამბავია, ყოვლად სამღვდელო! ყველაფერს წარმოვიდგენდი და თუ თქვენს მეუფებას ცუდათ მოიხსენიებდენ, ამას კი ვეღარ ვიფიქრებდი. (ეფისკოპოზს გაზეთს აწვდის) აი თქვენის თვალითა ნახეთ!

**ეფისკოპოზი.** (ათვალიერებს) ნამდვილათ სოციალ-დემოკრატების საქმე იქნება.

**ბლაღოჩინი.** აბა ვისი, ყოვლად სამღვდელო?! (ერთათ ხელ-აპყრობილნი) აი შეაჩვენოს ისინი უფალმა, უფალმა შეაჩვენოს!

**ეფისკოპოზი.** (რამოდენიმე ხანს კითხულობს გაზეთს და შემდეგ ზეზე წამოხტება, გაზეთს გადააგდებს) საზიზღარი ცილისწამებაა, საზიზღარი. სიტყვის თავისუფლებაო და აი რა იცის სიტყვის თავისუფლებამ! წადით ახლავე და დურმიშხანს დამიძახეთ. მე ვაყურებიებ მაგათ სეირს!

(ფარდა ჩქარა ეშვება).

**ი. გომართელი.**



თაგვების მოედანი.



ქუთაისის ბულვართან.

## წერილები რედაქციის მიმართ.

როგორც გავიგე, ჩემი „მეგობრები“ ცდილობენ დაარწმუნონ ბ. გოკიელოვი, თითქო „ეშმაკის მათრახის“ № 19-ში მის შესახებ მოთავსებული ცნობა ჩემი დაწერილი იყოს. ამაში თავის მართლება მეტად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ ბ. გოკიელოვი ამ ცილისწამებას ყურადღებასაც არ მიაქცევს. რაც შეეხება „ეშმ. მათ.“-ში მოყვანილ ცნობას, ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია შემდეგი გავაცხადო: ექიმ გოკიელოვს მე დიდი ხანია ვიცნობ და ვიცნობ, როგორც ერთს ღარიბ-გაჭირვებულთა მხნე და უანგარო მუშაკთაგანს, მე თვითონ ბევრი მაგალითი ვიცი და კიდევ მეტი სხვებისაგანაც გამიგონია, რომ მას ბევრისათვის არა თუ მუქთათ უაქიმებია, წამლის ფულიც კი ხშირათ საკუთარი თავის ჯიბიდან მიუცია ავათმყოფისათვის. „ეშმ. მათ.“-ში მოთავსებული ცნობა მის შესახებ მე, მართალი მოგახსენოთ, ყოვლად დაუჯერებელ ამბათ მიმაჩნია და, თუ მართლა იყო იმის მსგავსი რამ, რაც იქაა აწერილი, ეს, როგორც რუსები იტყვიან, „ნედორაზუმენიე“ უნდა იყოს, სხვა არაფერი.

იასონ ნიკოლაიშვილი.

## „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას.

„ეშმაკის მათრახის“ სააღდგომო ნომერში სოსიკოს შესახებ მოთავსებული ლექსი ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია. იმ ლექსში სოსიკოსადმი მიწერილი ეპიტეტები ვერ არის სამართლიანი.

ჩვენ, ადგილობრივი კორესპოდენტები „ეშმაკის მათრახისა“, სამართლიანათ ვცნობთ აღინიშნოს ეს „ეშმაკის მათრახშივე“ და მით გასწორდეს უნებლიეთი შეცდომა.

კენტი და ბლიკვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**

ელექტრომბეჭდავი ამ. „შრომა“, რუსკაია ქ. № 3.